



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 13 - 26 აგვისტო, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის მეოთხე ეტაპის ძირითადი მიგნებები:

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობა დრო ;
- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე ხშირად ხუთი პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შესახებ ვრცელდება ინფორმაცია. ესენია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია "ქართული ოცნება“, ახალი მემარჯვენეები, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და თავისუფალი საქართველო;
- რეგიონალურ ტელეკომპანიათა უმეტესობა დიდ დროს უთმობს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებას. გაშუქება თითქმის ყოველთვის პოზიტიურია;
- ტელეკომპანიათა უმეტესობაში იგრძნობა ლოიალური დამოკიდებულება ზოგადად ხელისუფლების მიმართ;
- ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროგრამები ზედაპირულად, დამატებითი არგუმენტების გარეშე შუქდება. ტელეკომპანიათა უმრავლესობაში ეს გაშუქება დადებით ტონში ხდება;
- ტელეკომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი აშუქებს ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 13 -26 აგვისტოს მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი),

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი (ქ. ბორჯომი), მარნეული ტვ (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

მეოთხე საანგარიშო პერიოდშიც ვერ მოხერხდა ოცივე ტელემაუწყებლის სრულყოფილი მონიტორინგი. საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არა აქვთ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ.სენაკი). მოსამაზადებელი სამუშაოები გაგრძელდა ტელეკომპანია "მე-9 ტალღში" (ქ. ფოთი), ამიტომ საინფორმაციო გადაცემები მათი ეთერით 1 სექტემბრიდან გავა.

13 -26 აგვისტოს მანძილზე ისევ არასრული დატვირთვით მუშაობდა და კვირაში მხოლოდ ერთ საინფორმაციო გადაცემას ამზადებდა რამდენიმე ტელეკომპანია. კერძოდ, "მეგა ტვ" (ქ. ხონი), ტელეკომპანია "ბორჯომი". 20 აგვისტოს სტიქიამ გარკვეული სირთულეები შეუქმნა ქალაქ ლაგოდეხის ტელეკომპანია "ლტვ-ს" და ტელეკომპანია "გურჯაანს". ორივე ტელეკომპანია შეფერხებებით მაუწყებლობდა.

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. "პრაიმ-ტაიმის" პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.


მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების

თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).

ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.


საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო, 24 წუთი, ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. გაშუქების 13 წუთი წილად ხვდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", 8 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 5-5 წუთი გადანაწილდა ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასა და ახალ მემარჯვენეებზე. 4-4 წუთი დაეთმოთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ხელისუფლებას და აჭარის მთავრობას.




გაშუქების ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონი მოდიოდა ხელისუფლებასა (77%) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე (59%). ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და ახალი მემარჯვენეები მხოლოდ დადებით და ნეიტრალურ ტონებში იყვნენ გაშუქებულნი. გაშუქების მაღალი ნეიტრალური ტონი დაფიქსირდა ასევე კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში. სუბიექტების მიმართ ძირითადად ან სამივე ტონში ან მხოლოდ პოზიტიურსა და ნეიტრალურ ტონებში იყო საუბარი. გამონაკლისს წარმოადგენდა პრეზიდენტი. ამ სუბიექტის მიმართ (დაეთმო 3 წუთი) მხოლოდ პოზიტიური (62%) და ნეგატიური (38%) ტონები დაფიქსირდა.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი



სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი ბევრად სჭარბობდა პირდაპირს.




13-26 აგვისტოს მანძილზე (თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნის გამო) „25-ე არხი“ 10 წუთიან ახალ ამბებს ამზადებდა და დროის უმეტეს ნაწილს რეგიონის ახალ ამბებს უთმობდა. სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია და წარმოაჩენს თემის ირგვლივ

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი


არსებულ განსხვავებულ შეხედულებებს. საანგარიშო პერიოდში კონკრეტული სახის მიკერძოებულობისა და რომელიმე სუბიექტის მიმართ ტენდენციურობის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ მთავრობას (12 წუთი) და ადგილობრივ თვითმმართველობას (10 წუთი). 3 წუთი დაეთმო პრეზიდენტს.




ყველაზე მეტად გაშუქებულ სუბიექტების მიმართ გამოვლინდა სამივე ტონი, თუმცა პოზიტიური ტონში საუბარი ბევრად სჭარბობდა. პრეზიდენტის მიმართ მხოლოდ პოზიტიური ტონი დაფიქსირდა.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი




სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი საუბარი ბევრად სჭარბობდა ირიბს:




საანგარიშო პერიოდში (13-26 აგვისტო) ტელეკომპანიის ეთერით ყოველდღიურად გასული ტელედაიჯესტები დამონიტორინგდა. ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებდა. გამონაკლისი იყო 13 აგვისტოს პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის გურიაში ვიზიტის გაშუქება. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვებებში დიდი დრო ეთმობათ მთავრობის წარმომადგენელთა ინტერვიუებს. მაგალითად: 13 აგვისტოს

გადაცემაში პრემიერ-მინისტრის ინტერვიუს 3 წუთი და 44 წამი დაეთმო; 17 აგვისტოს პრეზიდენტს - 2 წუთი.


ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ თვითმმართველობას დაუთმო - 11 წუთი. გაშუქების 10 წუთი წილად ხვდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 8 წუთი - კოლიცია "ქართულ ოცნებას", 7 წუთი - ხელისუფლებას.



სუბიექტები ძირითადად პოზიტიურ ტონში შუქდებოდნენ. მხოლოდ კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ დაფიქსირდა გაშუქების სამივე ტონი - 5% პოზიტიური, 36 % - ნეიტრალური და 59% ნეგატიური.



სუბიექტების გაშუქებისას ყველაზე მაღალი ირიბი საუბრის მაჩვენებელი აქვს კოალიცია "ქართულ ოცნებას" (88%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (81%). პირდაპირი საუბარი ირიბს მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში სჭარბობს - 78% / 22%.




ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას აშუქებს და ნაკლებ დროს უთმობს სხვა პოლიტიკურ (განსაკუთრებით ოპოზიციურ) სუბიექტებს. მათ


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

მაშინაც კი ნაკლებად აშუქებენ, როცა ამის ინფორმაციული საფუძველი არსებობს. მაგალითად, კოლაიცია "ქართული ოცნების" 19 აგვისტოს აქციის გაშუქება რუსთავეში კოალიციის მოუწესრიგებელ საორგანიზაციო საკითხებზე საუბრით შემოიფარგლა და საერთოდ არ უჩვენებიათ მოსახლეობასთან შეხვედრაზე გაკეთებული პოლიტიკური განცხადებები. ახალი ამბების გამოშვებებში დიდი დრო ეთმობოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას. როგორც აღვნიშნეთ, მათი საქმიანობა ნეგატიურ ტონში საერთოდ არ გაშუქებულა და დათმობილი დროის დიდი უმეტესობა მათზე პოზიტიურ ტონში საუბრობდნენ. ასევე აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტი თავადაც დადებითად აფასებდა სახელმწიფო სტრუქტურების პროექტებს. მაგალითად: 16 აგვისტოს ახალი ამბების პირველივე სიუჟეტში ჟურნალისტის თქმით, სამთავრობო პროექტი, რომელიც ავტომაგისტრალის მშენებლობას ითვალისწინებს, მოძრაობას განტვირთავს და მას უფრო უსაფრთხოს გახდის. ჟურნალისტის დადებითი დამოკიდებულება ჩანდა ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტებთან დაკავშირებითაც. მაგალითად: 18 აგვისტოს ახალ ამბებში წამყვანი ამბობს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ეზოების კეთილმოწყობის პროექტმა უპრეცედენტო მასშტაბები მოიცვა. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე საანგარიშო პერიოდში გასულ თითქმის ყველა საინფორმაციო გამოშვებაში ისაუბრეს და მომზადებული სიუჟეტები ფაქტიურად ერთმანეთის იდენტური იყო.


"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო (6 წუთამდე) ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო. გაშუქების 3 წუთი ხვდა წილად ხელისუფლებას და 2 წუთი - კოლაიცია "ქართულ ოცნებას".



ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე მხოლოდ პოზიტიურ (73%) და ნეიტრალურ (27%) ტონებში იყო საუბარი. ხელისუფლებისა და კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ კი მხოლოდ პოზიტიურ და ნეგატიურში.




ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში კი პირდაპირი და ირიბი გაშუქება თითქმის თანაბარი იყო.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებდა. დიდ დრო დაეთმო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივობების გაშუქებას. მონიტორინგის სხვა სუბიექტებზე საუბარი ფაქტიურად არ ყოფილა.


"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო ხელისუფლებას (12 წუთი), ადგილობრივ თვითმმართველობას (11 წუთი), ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და მათავრობას (10-10 წუთი) დაეთმო. 9 წუთი დაეთმო კვალიცია "ქართულ ოცნებას".



სუბიექტების მიმართ ძირითადად გაშუქების მაღალი დადებითი ტონი გამოვლინდა. ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონი კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ დაფიქსირდა (75%).




სუბიექტების გაშუქებისას მათზე ირიბი საუბარი ბევრად სჭარბობდა პირდაპირს:




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არხი მთლიანად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. რეგიონში არსებული სოციალური პრობლემები, მთავრობის მიერ დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები, პრემიერ-მინისტრის ვიზიტები - “მე-9 არხის” ჟურნალიტები სიუჟეტებს, ძირითადად, აღნიშნული თემების შესახებ ამზადებდნენ. ახალი ამბების ნაწილი კი პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოებულ საარჩევნო კამპანიებს ეთმობოდა. ყველაზე მეტი დრო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (10 წუთი) და კოალიცია “ქართულ ოცნებას” (9 წუთი) დაეთმო. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტების მხრიდან მკვეთრად პოზიტიური განწყობა იკვეთებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივობების გაშუქების დროს (75%), ხოლო კოალიციის მიმართ - ნეიტრალური (75%).


"თანამგზავი" (თელავი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან საინფორმაციო გამოშვებებში თანაბარი დრო, 8-8 წუთი, დაეთმოთ კოალიცია "ქართულ ოცნებას" და ადგილობრივ თვითმმართველობას.



ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტების მიმართ სამივე ტონი გამოვლინდა. ყველაზე მეტად პოზიტიურ ტონში კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" საუბრობდნენ - 71%, ხოლო ნეგატიურად ადგილობრივ თვითმმართველობაზე - 50%.




მონიტორინგის სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ:




ტელეკომპანია „თანამგზავრი“ ძირითადად რეგიონის ახალ ამბებს აშუქებდა. თუმცა ამ საანგარიშო პერიოდში იყო სიუჟეტები თბილისიდან, გურიის რეგიონიდან, შიდა ქართლიდან, იმერეთიდან და სამეგრელოდან. „თანამგზავრის“ საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია, ჩანს ჟურნალისტის მცდელობა აჩვენოს და გააშუქოს ყველა მნიშვნელოვანი მხარე. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები უარს ეუბნებიან ჟურნალისტს ინტერვიუზე. მაგალითად, 15 აგვისტოს ახალი ამბების გამოშვებაში გასულ სიუჟეტში, სადაც გაშუქებული იყო სოფელ ვარდისუბნის მცხოვრებლების საპროტესტო აქცია გამგეობის წინ, ჩანს როგორ უშედეგოდ ცდილობს ჟურნალისტი სოფლის ტერიტორიული მართვის ორგანოს წარმომადგენლისგან ინტერვიუს აღებას. კადრში ასევე ჩანს როგორ ურტყამს იგი ხელს კამერას.


"თრიალეთი" (ქ. გორი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო (14 წუთი) ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. 9 წუთიანი გაშუქება წილად ხვდა ხელისუფლებას, 7 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 5 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას".



სუბიექტების გაშუქებისას ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი ზოგადად ხელისუფლების მიმართ (89%) დაფიქსირდა; ადგილობრივ თვითმმართველობასა და მთავრობაზე საუბარი სამივე ტონში თანაბრად იყო.




ყველა გაშუქებულ სუბიექტზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. ირიბი საუბრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ მთავრობას (96%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (84%).




ტელეკომპანია აქტიურად აშუქებდა რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდებისგან განსხვავებით, ამ კვირაში კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ დათმობილი დროის ოდენობამ იკლო და პარალელურად ადგილობრივი თვითმმართველობს საქმიანობის გაშუქებამ იმატა. ამასთან, ნაკლებად იგრძნობოდა ჟურნალისტის პირადი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ. სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებული იყო ან ჟურნალისტი განამარტავდა თუ რატომ არ იყო წარმოდგენილი მეორე მხარის პოზიცია - ხშირად, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები კომენტარზე უარს ამბობდნენ ან ჟურნალისტი მათთან დაკავშირებას ვერ ახერხებდა.


"გურია" (ქ. ოზურგეთი) - გაშუქების ყველაზე მეტი დრო, 8 წუთი, წილად ხვდა მთავრობას. 6 წუთი დაეთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას", 2 წუთი კი - ხელისუფლებას.



მთავრობის მიმართ დაფიქსირდა გაშუქების მხოლოდ პოზიტიური (88%) და ნეიტრალური (12%) ტონები, ხელისუფლების მიმართ - პოზიტიური (32%) და ნეგატიური (68%). ხოლო კვალიცია "ქართული ოცნებაზე" საუბარისას სამივე ტონი გამოიკვეთა.




საინფორმაციო გამოშვებებში სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ:




ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადი დრო რეგიონის ახალ ამბებს ეთმობოდა. საანგარიშო პერიოდში (13-26 აგვისტო) არხზე ოთხი პოლიტიკური სუბიექტის (კვალიცია "ქართული ოცნება", ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ახალი მემარჯვენეები და თავისუფალი საქართველო) წინასაარჩევნო კამპანია გაშუქდა. უნდა აღინიშნოს, რომ სიუჟეტები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობებს გვიჩვენებს მეტ-ნაკლებად დაბალანსებულ გახდა.


"იმერვიზია" (ჭიათურა) - სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო, 25 წუთი, ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. დანარჩენი სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ბევრად მცირე იყო: თავისუფალი საქართველო - 5 წუთი, პრეზიდენტი, მთავრობა და ზოგადად ხელისუფლება 4- 4 წუთი.



ადგილობრივი თვითმმართველობაზე საუბარი ძირითადად პოზიტიურ ტონში (86%) იყო. გამოვლინდა ასევე ნეიტრალური (13%) და ნეგატიური (2%) ტონებიც. სამივე ტონში იყო საუბარი თავისუფალ საქართველოზეც. პრეზიდენტი, მთავრობა და ხელისუფლება კი მხოლოდ პოზიტიურ ტონში იყო გაშუქებული.




საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე ხშირად გაშუქებულ სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. პირდაპირი - ირიბი გაშუქება თანაბარი იყო მხოლოდ პრეზიდენტის შემთხვევაში.




ტელეკომპანია "იმერვიზია" ძირითადად რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. თუმცა მოვლენები განსხვავებული მოსაზრებების ჩვენების გარეშე შუქდება. სიუჟეტები დაუბალანსებელია და იგრძნობა ჟურნალისტის დადებითი განწყობა ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ ზოგადად ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე საუბრისას ჟურნალისტი ამბობს: „მოსახლეობას ძალიან დიდი ხნის ნატვრა აუსრულდება“. ასევე იგრძნობა ჟურნალისტის განწყობა (ამჯერად უკვე ნეგატიური) კოალიცია "ქართული ოცნებაზე" საუბრის დროს. მაგალითად: „თქვენი აზრით ვინ რევს ცხოვრებას?“ - ეკითხება ჟურნალისტი მოქალაქეს.

"არგო" (ქ. ზესტაფონი) - ახალი ამბების გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ პრეზიდენტს, ადგილობრივ თვითმმართველობას (4-4 წთ.) და მთავრობას (3 წთ.).




სუბიექტებზე ძირითადად პოზიტიურად და ნეიტრალურად საუბრობდნენ. მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობაზე საუბრისას დაფიქსირდა პოზიტიური (85%) და ნეგატიური (15%) ტონები. სუბიექტების გაშუქების ასივე პროცენტი ირიბი იყო, ანუ მათზე სხვები საუბრობდნენ.



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია „არგო“ ყოველდღიურად 5 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა. თუმცა მათში მონიტორინგის სუბიექტებზე საუბარი ყოველთვის არ იყო. ახალი ამბების გამოშვებები ძირითადად რეგიონში მიდინარე სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური საკითხებით შემოიფარგლებოდა.


აღსანიშნავია 15 აგვისტოს გამოშვება, რომელიც მთლიანად რეგიონში პრეზიდენტის მოსახლეობასთან შეხვედრას მიეძღვნა. სიუჟეტი გამოკვეთილად პოზიტიური იყო.

"ბორჯომი (ქ. ბორჯომი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან 3-3 წუთი დაეთმოთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს, 2 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.




სუბიექტებზე საუბარი პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონში ხდებოდა. ამასთან დადებით ტონში საუბარი ყოველთვის სჭარბობდა. მხოლოდ პრეზიდენტზე საუბრისას დაფიქსირდა ნეგატიური ტონი. ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის შემთხვევებში პირდაპირი საუბარი სჭარბობდა ირიბს. მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო თვისებრივი ანალიზის გაკეთება ვერ ხერხდება.


მარნეული ტვ (ქ. მარნეული) - საინფორმაციო გამოშვებებში დაახლოებით 2-2 წუთი დაუთმეს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ადგილობრივ თვითმმართველობას და მთავრობას.



გაშუქების ნეგატიური ტონი (50%) დაფიქსირდა მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში.




სუბიექტების გაშუქებისას (2 წუთიანი გაშუქება) პირდაპირი საუბარი სჭარბობდა ირიბს:




13-26 აგვისტოს მანძილზე, თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნის გამო, ტელეკომპანია სრული დატვირთვით არ მუშაობდა. საინფორმაციო გამოშვებების ხანგრძლივობა საშუალოდ 6 წუთი იყო. შესაბამისად, მონიტორინგის სუბიექტები თითქმის არ გაშუქებულან. უნდა აღინიშნოს, რომ 20 და 24 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა ერთი და იგივე სიუჟეტი მარნეულში მომხდარი სტიქიის შესახებ, რომელშიც საუბარი იყო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოსახლეობისთვის მიცემულ დაპირებებზე.


გურჯაანი (ქ. გურჯაანი) - ყველაზე მეტი დრო, 12 წუთი დაეთმო მთავრობის გაშუქებას, 6 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას, 4 წუთი - ხელისუფლებას და 3 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



გაშუქებული სუბიექტების მიმართ დაფიქსირდა პოზიტიური ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი: მთავრობა - 82%, ადგილობრივი თვითმმართველობა - 80%, ხელისუფლება - 58%. ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე თითქმის თანაბრად იყო საუბარი პოზიტიურ (52 %) და ნეიტრალურ (48%) ტონებში. ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი (35%) ზოგადად ხელისუფლებაზე საუბრისას გამოვლინდა.




სუბიექტებზე უფრო მეტად სხვები საუბრობდნენ. ეს მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას - 53% პირდაპირი და 47 % ირიბი.




ტელეკომპანამ, რეგიონში მომხდარი სტიქიის შემდეგ, მაუწყებლობის აღდგენა 15 აგვისტოდან შეძლო. თუმცა არხზე არსებული ტექნიკური პრობლემების გამო 17, 20 და 22 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვები ეთერში არ გასულა. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადი დრო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ აქტივობებს ეთმობოდა. მონიტორინგის სხვა სუბიექტებიდან თითქმის არც ერთი არ გაშუქებულა. მხოლოდ ნაჩვენები იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (3 წუთი), კოალიცია "ქართული ოცნების" (21 წამი) და ახალი მემარჯვენეების (44 წამი) მოსახლეობასთან შეხვედრების და რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების დასახელების ვიდეომასალა.


"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო, 10 წუთი კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაუთმო. გაშუქების 8 წუთი ხვდა წილად ადგილობრივ თვითმმართველობას და 5 წუთი - პრეზიდენტს.



კვალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი - 72%. პრეზიდენტის გაშუქების ასივე პროცენტი პოზიტიური საუბარი იყო.




არაპირდაპირი გაშუქების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (87%) გამოვლინდა კვალიცია "ქართული ოცნების" მიმართ. ადგილობრივ თვითმმართველობაზეც სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ (62%). პირდაპირი საუბარი (64%) სჭარბობდა ირიბს პრეზიდენტის გაშუქებისას.




ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივ ამბებს აშუქებდა. ერთ-ერთ სიუჟეტში კოალიცია "ქართულ ოცნებაში" მომხდარ საკადრო ცვლილებებზე საუბარი. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტებში აშკარად იგრძნობა უარყოფითი დამოკიდებულება კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ. სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს: "ნდობა ზუგდიდელმა მეოცნებე ლერი გელენავამ მოიპოვა". ამავე საინფორმაციო გამოშვების მეორე სიუჟეტში ნაჩვენებია სოფელ აფენში კოალიციის წარმომადგენელ ლუკა კურტანიძის მოსახლეობასთან შეხვედრა. ჟურნალისტის და რამდენიმე მცხოვრების თქმით, მოსახლეობა შეხვედრაზე მოტყუებით მიიყვანეს. სიუჟეტში ნაჩვენებია მხოლოდ ლუკა კურტანიძის და ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლის დიალოგი. ადგილობრივ მოსახლეს, რომელიც ლუკა კურტანიძეს ეჩხუბება დათმობილი აქვს დაახლოებით სამი წუთი. სიუჟეტში არ არის ნაჩვენები კურტანიძის ხალხთან საუბარი. ამავე სიუჟეტში ჟურნალისტი კოალიციის ერთ-ერთ აქტივისტს რამდენჯერმე მოიხსენიებს ზედმეტსახელით (ჩეჩენა). 20 აგვისტოს სიუჟეტში, სადაც ნაჩვენებია რა ზიანი მიაყენა სტიქიამ ლაგოდეხის რაიონის რამდენიმე სოფელს ჟურნალისტი ამბობს: „მოსახლეობასთან არ ჩასულან კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენლები, გლეხები მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოინახულეს“.

"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი) - საანგარიშო პერიოდში არხმა ყველაზე მეტი დრო (23 წუთი) ადგილობრივ თვითმმართველობას დაუთმო. საინფორმაციო გამოშვებებში 8 წუთი დაეთმო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო მთავრობასა და პრეზიდენტს 6-6 წუთი.


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი



ყველაზე ხშირად გაშუქებულ სუბიექტებზე ძირითადად პოზიტიურად საუბრობდნენ. 45 %-იანი ნეგატიური ტონი გამოვლინდა მხოლოდ მთავრობის გაშუქებისას.




სუბიექტების გაშუქებისას პირადად მათ უფრო მეტი დრო ეთმობოდათ, ანუ პირდაპირი საუბარი ყოველთვის სჭარბობდა ირიბს. მხოლოდ მთავრობის შემთხვევაში დაფიქსირდა ირიბი გაშუქების მაღალი მაჩვენებელი - 79%.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის, ზოგადად ხელისუფლების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის აქტივობებს აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებებში იგრძნობა ჟურნალისტების აშკარად მიკერძოებული, დადებითი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, 15 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვების პირველ სიუჟეტში, სადაც ნაჩვენებია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატ კობა ნაყოფიას შეხვედრა მოსახლეობასთან, სიუჟეტი ჟურნალისტის შემდეგი ტექსტით მთავრდება: "შეხვედრები კიდევ გაგრძელდება და ერთობლივად იქნება გადაწყვეტილება მიღებული თუ რომელი პრობლემა როგორ მოგვარდეს". ასევე, 22 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვების პირველ სიუჟეტში, სადაც გაშუქებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელის მოსახლეობასთან შეხვედრა, ჟურნალისტი ამბობს: "გამგებელმა იმ საკითხებზე ისაუბრა, რომელიც მოსახლეობას ყველაზე მეტად აინტერესებს".


"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 7 წუთი დაეთმო ხელისუფლებას, 6-6 წუთი გაშუქდნენ პრეზიდენტი და კოალიცია "ქართული ოცნება".



გაშუქებული სუბიექტების მიმართ ძირითადად პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში იყო საუბარი. მცირე ნეგატიური ტონი დაფიქსირდა პრეზიდენტის (9%) და ხელისუფლების (2%) მიმართ.




პრეზიდენტის გაშუქებისას პირდაპირი საუბარი ბევრად სჭარბობდა ირიბს, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.



13-26 აგვისტოს მანძილზე ტელეკომპანიამ ორი საინფორმაციო გამოშვება მოამზადა და რეგიონში მიმდინარე მოვლენების გაშუქებით შემოიფარგლა. ახალი ამბების ძირითადი თემა ოკაცის კანონის პროექტის გახსნაზე პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა და კოალიცია „ქართული ოცნების“ ხონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის შესახებ მომზადებული სიუჟეტი იყო. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის არცერთი სუბიექტი ნეგატიურ ტონში ფაქტიურად არ გაშუქებულა. სიუჟეტები მომზადდა, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციური პარტიების შესახებ, თუმცა ცალკეული სიუჟეტები დაუბალანსებელია და საკითხი მხოლოდ ერთი კუთხით შუქდება.

"ზარი" (სამტრედია) - მონიტორინგის სუბიექტებიდან 5 წუთი დაეთმო ზოგადად ხელისუფლებას, 4 წუთი - პარლამენტს, 3 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას. აღნიშნული სუბიექტების გაშუქების ტონი მხოლოდ პოზიტიური იყო.



საანგარიშო პერიოდის მანძილზე თვისებრივი ანალიზისთვის მცირე მასალა დაგროვდა. საინფორმაციო გამოშვებებში მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობა გაშუქდა. სიუჟეტებში აშკარად ჩანდა ჟურნალისტის სუბიექტური დამოკიდებულება. მაგალითად, ხელისუფლების მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ჟურნალისტი ამბობს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მადლობების მიღებას ვეღარ აუდიოდნენ.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

27 აგვისტო - 2 სექტემბრის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეხუთე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.